



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 115

2011 წლის 20 სექტემბერი  
ქალაქი ხაშური

## სავიზიტო ბარათების გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ

2011 წლის 7 სექტემბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110023334) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი სავიზიტო ბარათების შესყიდვაზე, რომელსაც 2011 წლის 13 სექტემბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. სავიზიტო ბარათების შესყიდვა კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს სავიზიტო ბარათების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განხორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე  
დავით ლომიძე

